საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის
XI საერთაშორისო კონფერენცია

პირველი შეტყობინება

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის XI საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდება 2021 წლის 23 -28 აგვისტოს ქ. ბათუმში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
გლობალური პანდემიური სიტუაციის გათვალისწინებით კონფერენცია შეიძლება ჩატარდეს დისტანციურად. ამის შესახებ დაზუსტებულ ინფორმაციას მოგვიანებით მიიღებთ.

კონფერენციის სექციები და თავმჯდომარეები:

- ალგებრა, ტოპოლოგია, გეომეტრია და რიცხვთა თეორია (მალხაზ ბაკურაძე, ვლადიმერ ბალაძე, გიორგი ხიმშიაშვილი, ემზარ ხმალაძე)
- დიფერენციალური განტოლებები და გამოყენებები (როლანდ დუდუჩავა, ნუგზარ შავლაყაძე, ოთარ ჭკადუა)
- მათემატიკური განათლება და ისტორია (გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე)
- მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული მათემატიკა (ალექსი კირთაძე, როლანდ ომანაძე, ალექსანდრე ხარაზიშვილი)
- მათემატიკური მოდელირება და რიცხვითი ანალიზი (ჰამლეტ მელაძე, თემურ ჩილაჩავა, თემურ ჯანგველაძე)
- მათემატიკური ფიზიკა (ალექსანდრე კვინიხიძე)
- ალბათობის თეორია და სტატისტიკა, ფინანსური მათემატიკა (ვახტანგ კვარაცხელია, ვაჟა ტარიელაძე, ომარ ფურთუხია)
- ნამდვილი და კომპლექსური ანალიზი (ვახტანგ კოკილაშვილი, გიორგი ონიანი, შაქრო ტეტუნაშვილი).

თემატური მინისიმპოზიუმები: მონაწილეებმა, რომელთაც სურთ თემატური მინისიმ-პოზიუმების ორგანიზება, უნდა გამოაგზავნონ განაცხადი ელექტრონული ფოსტით **2021 წლის 31 მაისამდე** შემდეგ მისამართზე: conferences.gmu@gmail.com
მინისიმპოზიუმის ორგანიზებისათვის აუცილებელია არანაკლებ 5 მომხსენებლის მონაწილეობა.

რეგისტრაცია: წინასწარი რეგისტრაციისთვის ეწვიეთ კონფერენციის ვებგვერდს http://gmu.gtu.ge/Batumi2021/index.html
ზუსტ ინფორმაციას სარეგისტრაციო გადასახადის შესახებ მიიღებთ მოგვიანებით, როცა დაზუსტდება კონფერენციის ჩატარების ფორმატი. კონფერენციის ყველა მონაწილე, ორგანიზატორებისა და პლენარული მომხსენებლების ჩათვლით, იხდის კონფერენციის სარეგისტრაციო გადასახადს.

თეზისის წარდგენა: ეწვიეთ კონფერენციის ვებ-გვერდს http://gmu.gtu.ge/Batumi2021/indexe.html გაიარეთ რეგისტრაციის საწყისი ეტაპი და ატვირთეთ თქვენი თეზისის LaTex და pdf ვერსიები 2021 წლის 15 ივლისამდე.
15 ივლისის შემდეგ წარმოდგენილი თეზისი არ მიიღება დასაბეჭდად.
თეზისი უნდა მომზადდეს ქართულ და ინგლისურ ენებზე. ორივე ვარიანტი წარმოდგენილი უნდა იყოს LaTex ფორმატში, შაბლონის მიხედვით. **თითოეული თეზისის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს. თეზისი, რომელიც გამოიგზავნება Word-ის ფაილით, არ მიიღება დასაბეჭდად.** დაბეჭითებით გთხოვთ, დაიცვათ შაბლონში მითითებული წესები. **შაბლონების ჩამოტვირთვას შეძლებთ კონფერენციის ვებ-გვერდიდან.**

შენიშვნა: რეგისტარცია ჩაითვლება დასრულებულად და კონფერენციის მონაწილის თეზისი დაიბეჭდება კრებულში სამეცნიერო კომიტეტის მიერ მოხსენების პროგრამაში ჩართვის დადასტურებისა და სარეგისტრაციო თანხის გადახდის შემდეგ.
გთხოვთ, სარეგისტრაციო თანხის გადახდა (ჩარიცხვა) შეგვატყობინოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე zaza-ude@hotmail.com. აუცილებელია შეტყობინებას მიბმული ფაილის სახით თან დაერთოს სარეგისტრაციო შენატანის გადახდის ქვითრის ასლი, სადაც გადარიცხვის დანიშნულებაში მითითებული იქნება: ''სახელი, გვარი, სმკ XI კონფერენციის სარეგისტრაციო თანხა''.

მნიშვნელოვანი თარიღები:

15 ივნისი, 2021 - მინისიმპოზიუმების ორგანიზებაზე განაცხადის მიღების საბოლოო ვადა.

15 ივლისი, 2021 - თეზისის წარდგენის საბოლოო ვადა.

20 ივლისი, 2021 - მოხსენებების მიღების დადასტურება.

31 ივლისი, 2021 - საკონფერენციო გადასახადის გადახდის ბოლო ვადა იმ მონაწილე-ებისათვის, რომლებსაც სურთ თეზისების ჩართვა თეზისების კრებულში.

დამატებითი ინფორმაცია მოცემული იქნება მეორე შეტყობინებაში.

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდენტი,
კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის თავმჯდომარე,
პროფესორი დავით ნატროშვილი

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე,
პროფესორი ალექსანდრე მესხი